ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

UNDP

საქართველოს 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

სატელევიზიო ახალი ამბების მონიტორინგის წინასწარი ანგარიში

5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

წინამდებარე ანგარიში მომზადებული და გამოცემულია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ, ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია და მისი შინაარსის აღქმა ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად დაუშვებელია.

სარჩევი

პროექტის შესახებ 3

მონიტორინგის მეთოდოლოგია 3

ძირითადი მიგნებები 4

ანგარიში 5

დანართი: დიაგრამები 9

პროექტის შესახებ

„საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ გაეროს განვითარების პროექტ „საქართველოს 2021 წლის ადგილობრივი არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევის“ ფარგლებში ევროკავშირის ფინანსური დახმარებით აკვირდება ტელემედიის მიერ 2021 წლის ადგილობრივი არჩევნების გაშუქებას. მონიტორინგი დაიწყო 2020 წლის 5 ივლისს და დასრულდება 2022 წლის მარტში. დაკვირვება მიმდინარეობს შემდეგ 14 სატელევიზიო (5 ეროვნულ, 9 რეგიონულ) არხზე. ესენია: პირველი არხი, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, ტელეკომპანია მთავარი, რუსთავი 2, იმედი, ტვ პირველი, ტვ 25, თრიალეთი, მე-9 არხი, ტვ ოდიში, ტელეკომპანია გურჯაანი, ტვ გურია, ტელეკომპანია რიონი, ტვ 4 .

მონიტორინგის მეთოდოლოგია

მონიტორინგი შედგება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის კომპონენტებისგან. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს ისეთ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაიზომოს: სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, გაშუქების ტონი (დადებითი, ნეიტრალური, უარყოფითი), პირდაპირი/ირიბი გაშუქება (სუბიექტები თავად საუბრობენ, თუ მათზე სხვები საუბრობენ), სუბიექტის სქესი (კაცი თუ ქალი).

თვისებრივი მონიტორინგისას ყურადღება ექცევა ისეთ მაჩვენებლებს, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია: ფაქტების დროული გაშუქება, ინფორმაციის დამახინჯება, დაუბალანსებელი გაშუქება, ტენდენციურობა, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნება, ხმით/მუსიკით მანიპულირება, ეთიკური ან პროფესიული სტანდარტების დაცვა, აგრეთვე ნებისმიერი ისეთი ფაქტი, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

მონიტორინგის დროს დაკვირვება ხდება პარტიებსა და პოლიტიკოსებზე, რომლებიც მონაწილეობენ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. მონიტორინგის სუბიექტები ასევე არიან: მთავრობა (ცენტრალური, ადგილობრივი, აჭარის), პრეზიდენტი, ბიძინა ივანიშვილი და მიხეილ სააკაშვილი.

დაკვირვება ხორციელდება არა მხოლოდ საარჩევნო თემაზე მომზადებულ სიუჟეტებზე, არამედ ყველა სიუჟეტზე, სადაც მონიტორინგის სუბიექტებზეა საუბარი.

ძირითადი მიგნებები:

- 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო მონიტორინგის ფარგლებში დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ მაუწყებელთა პოლარიზაცია წინა წელთან შედარებით კიდევ უფრო გაიზარდა - ტელესივრცე ორ ბანაკად გაიყო. ტელეარხების ნაწილი მიკერძოებულია ხელისუფლებისადმი, მეორე ნაწილს კი ოპოზიციის მიმართ მიკერძოებული სარედაქციო პოლიტიკა აქვს;

- მაუწყებლებში მიკერძოებული სარედაქციო პოლიტიკა გამოიხატებოდა მათთვის არასასურველი პოლიტიკური სუბიექტის ნეგატიურად გაშუქებაში;

- სატელევიზიო ახალ ამბებში ხშირად გვხვდებოდა პროფესიული ეთიკის დარღვევისა და მანიპულაციის ფაქტები;

- ხელისუფლების მიმართ ლოიალურ სარედაქციო პოლიტიკას ინარჩუნებს საზო-გადოებრივი მაუწყებლის 1-ელი არხი;

- ხელისუფლების და მმართველი პარტიის მიმართ კეთილგანწყობის ზრდის ტენდენცია გამოიკვეთა ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ შემთხვევაში. გასულ სამონიტორინგო წელს „რუსთავი 2“ ცდილობდა, ეწარმოებინა მეტ-ნაკლებად დაბალანსებული სარედაქციო პოლიტიკა, წელს ეს წონასწორობა დაირღვა ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის სასარგებლოდ;

- მეტწილად გაუარესებულია წინა წლებთან შედარებით რეგიონული ტელევიზიების საინფორმაციო გამოშვებების ხარისხი, როგორც ტექნიკური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით;

- რეგიონული არხების ნაწილი ვერ ახერხებდა ყოველდღიურად მაუწყებლობას. ზოგიერთ არხზე გამოშვებები დაუდგენელი გრაფიკით გადიოდა. იყო რამდენიმედღიანი, მათ შორის ერთთვიანი წყვეტებიც;

- რეგიონული არხების ნაწილი ხშირად იყენებს სამთავრობო უწყებების პრესსამსახურების მომზადებულ მასალებს, მკაფიო მინიშნების გარეშე;

- ტელეარხების მიკერძოება კონკრეტული სუბიექტის მიმართ ნათლად ჩანდა ისეთი მნიშვნელოვანი თემების გაშუქებისას, როგორიცაა „5 ივლისის მოვლენები“, „ევრო-კავშირის მაკროფინანსურ დახმარებაზე უარის თქმა“, „შარლ მიშელის შეთანხმების ანულირება“ და, სავარაუდოდ, „სუსიდან გამოჟონილი ჩანაწერები“.

ანგარიში

სატელევიზიო მედიის როლი წინასაარჩევნო პერიოდში ძალიან მნიშვნელოვანია.

რამდენად სამართლიანად, თანაბარ პირობებში და ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით ხდებოდა პოლიტიკური სუბიექტების აქტივობის გაშუქება, სწორედ ამის განსაზღვრა იყო მთავარი საინფორმაციო გამოშვების მონიტორინგის მიზანი.

2021 წლის ადგილობრივი არჩევნების წინ ჩატარებული მედიამონიტორინგის შედეგებით ნათლად გამოიკვეთა, რომ მედიაგარემო პლურალისტური და პოლიტიზებული იყო. წინასაარჩევნოდ დაძაბულობა და პოლიტიკური პოლარიზაციის პიკი 2021 წლის 5 ივლისის მოვლენებმა განაპირობა. 5 ივლისის ძალადობრივი მოვლენების შედეგად, რა დროსაც მძიმედ დაშავდა მედიის 53 წარმომადგენელი და ფიზიკური ძალადობის შემდეგ "ტელეკომპანია პირველის" ოპერატორი ლექსო ლაშქარავა გარდაიცვალა, კრიტიკული მედიის წარმომადგენლებმა საპროტესტო აქციები გამართეს - მთავარი მოთხოვნა იყო პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის და შინაგან საქმეთა მინისტრის, ვახტანგ გომელაურის გადადგომა. 14 ივლისს ტელევიზიების ნაწილმა, მათ შორის სამონიტორინგო მედიებიდან „მთავარმა არხმა" და „ტვ პირველმა", პროტესტის ნიშნად მაუწყებლობა 24 საათით შეწყვიტა პრემიერ-მინისტრის გადადგომის მოთხოვნით. იმავე პოლიტიკურ მოთხოვნას აყენებდნენ რეგიონული ტელევიზიებიც წინა დღეს, 13 ივლისს, როდესაც 10 წუთით გათიშეს მაუწყებლობა. ამის პარალელურად, ტელეკომპანია „იმედმა", რომელიც წელსაც ხელისუფლებისა და მმართველი პარტიისადმი მიკერძოებით გამოირჩევა, კვლავ ღიად განაცხადა, რომ ტელეკომპანიის მთავარი მიზანია, არ დაუშვას „ნაციონალური მოძრაობის" რევანში საქართველოში.

პოლიტიკური პოლარიზაციის შედეგად ეროვნული მაუწყებლები წინასაარჩევნო პერიოდში ხშირად არღვევდნენ სამართლიანი და თანაბარი გაშუქების პრინციპს. სატელევიზიო არხების ნაწილი ხელისუფლებისადმი იყო მიკერძოებული, ნაწილი კი ოპოზიციისადმი. ამასთან, წელსაც გაგრძელდა ტენდენცია და მიკერძოება გამოიხატებოდა არასასურველი პოლიტიკური სუბიექტის ნეგატიურ გაშუქებაში. მონიტორინგის შედეგად ასევე გამოიკვეთა სიუჟეტების სიმცირე საარჩევნო თემაზე, რომელიც ამომრჩეველს მეტად დაეხმარებოდა ინფორმაციის საფუძველზე შეგნებული არჩევანის გაკეთებაში.

კრიტიკული მედია მმართველი პარტიისა და ხელისუფლების, ხოლო „იმედი" ოპოზიციის დისკრედიტაციაზე იყო ორიენტირებული.

„მთავარი არხი" და „ტვ პირველი" არ აშუქებდა „ქართული ოცნების" წინასაარჩევნო კამპანიას - მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში არ გადიოდა სიუჟეტები მმართველი პარტიის კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამის შესახებ და „მთავარი არხის" მაყურებელი ვერც იმის შესახებ იღებდა ინფორმაციას, თუ რას გეგმავს მმართველი პარტიის თბილისის მერობის კანდიდატი და არც იმისა, თუ რომელ რაიონში ვინ წარადგინა მერობის კანდიდატად „ქართულმა ოცნებამ". ამის საპირისპიროდ „მთავარზე" ღიად უჭერენ მხარს ოპოზიციას, განსაკუთრებით „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" და მის ლიდერს ნიკა მელიას. ამ

პარტიის მიმართ კრიტიკული მასალები არ მომზადებულა. „მთავარმა არხმა“ პირდაპირი ეთერი დაუთმო „ნაციონალური მოძრაობისა“ და ოპოზიციის ნაწილის თბილისის მერობის კანდიდატის, ნიკა მელიასა და საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატი ელენე ხოშტარიას წარდგენას.

ამის საპირისპიროდ „ქრონიკა“ ყველაზე დიდ დროს უთმობდა მმართველი პარტიის წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებას - პარტიის აქტივობები არხის მთავარ საინფორმაციო გამოშვებას ემთხვეოდა. „იმედზე“ წელსაც გაგრძელდა წინა წლების ტენდენცია და ხელისუფლების მიმართ კრიტიკა ფაქტობრივად არ ისმოდა. „იმედი“ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და მიხეილ სააკაშვილთან ერთად შესამჩნევად ნეგატიურ ტონში აშუქებდა ყოფილი პრემიერის გიორგი გახარიას - პარტია „საქართველოსთვის“ - აქტივობებს. „იმედი“ ხშირად ზუსტად იმეორებს და პირდაპირ მიჰყვება მმართველი გუნდის მესიჯბოქსს. მაგალითად, ევროკავშირის მაკროფინანსურ დახმარებაზე უარი წარმოჩენილი იყო, როგორც „სესხზე უარი“ და ამ მოსაზრების გასამყარებლად „მაღალი ეკონომიკური ზრდა“ იყო მოყვანილი, არაფერი თქმულა შეუსრულებელ ვალდებულებებზე, რომელიც ამ დახმარების მისაღებად იყო საჭირო;

„იმედის“ მსგავსი იყო „რუსთავი 2“-ის სარედაქციო პოლიტიკაც. მფლობელის შეცვლიდან ორი წლის თავზე ის შეუერთდა იმ მაუწყებელთა რიგს, რომლებიც განსაკუთრებით უარყოფითად აშუქებდნენ ოპოზიციას, კერძოდ კი „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“. არხი მიკერძოებული იყო ხელისუფლებისადმი და ხშირ შემთხვევაში მისი საქმიანობის პოზიტიურად წარმოჩენას ცდილობდა. ერთი მხრივ, შუქდებოდა დაგეგმილი პროექტები, მეორე მხრივ კი ჟურნალისტები არ სვამდნენ კრიტიკულ კითხვებს ხელისუფლების საქმიანობის შესახებ; თვალში საცემი იყო წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქების დროს მიკერძოება „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის, კახა კალაძის მიმართ, რომლის კანდიდატურის წარდგენაც საინფორმაციო გამშვების დაწყებამდე შედგა და 12 წუთზე მეტი დაეთმო, „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს, ნიკა მელიას კი 4 წუთი. აღსანიშნავია, რომ ნიკა მელიას წარდგენა მთავარ საინფორმაციო გამოშვებას დაემთხვა, თუმცა პირდაპირ ეთერში არ გადაუციათ. ამის საპირისპიროდ პირდაპირ ეთერში გადაიცა „ქართული ოცნების“ საკრებულოს წევრების წარდგენა.

ხელისუფლების მიმართ ლოიალურ სარედაქციო პოლიტიკას ინარჩუნებს საზოგადოებრივი მაუწყებლის 1-ელი არხი. საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში მთავრობისა და სახელისუფლებო გუნდის მიმართ კრიტიკა ძირითადად ოპონენტების და არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებების ხარჯზე ისმის. ყველაზე პოზიტიურად „მოამბე“ პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილისა და მთავრობის აქტივობებს აშუქებდა. განსხვავებული სარედაქციო პრიორიტეტები ჰქონდა წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელე-ვიზიას. ყველაზე დადებითად არხზე ადგილობრივი ხელისუფლება და აჭარის მთავრობა გაშუქდა, ხოლო ცენტრალური ხელისუფლების გაშუქებისას უარყოფითი ტონი ჭარბობდა.

მონიტორინგის პერიოდში გამოიკვეთა, რომ ტელეარხების მიკერძოება, ლოიალური თუ კრიტიკული დამოკიდებულება ჩანდა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თემების გაშუქების დროსაც.

ხელისუფლების პასუხისმგებლობა არ გამოუკვეთავს და კრიტიკის გარეშე გააშუქა „მოამბემ“ 5 ივლისს მოვლენები. მასალაში, ერთი მხრივ, ნათქვამი იყო, რომ მედიის წარმომადგენლები ძალადობისა და აგრესიის მსხვერპლი გახდნენ, თუმცა მხოლოდ საინფორმაციო გამოშვების დაწყებიდან 25 წუთის შემდეგ შესთავაზეს მაყურებელს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის კომენტარი, რომელიც ოპოზიციამ და არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოძალადე ჯგუფის წახალისებად აღიქვეს; იმავე კონტექსტით, ხელისუფლების კრიტიკის გარეშე გააშუქა 5 ივლისის ძალადობრივი მოვლენები „იმედმაც“.

წინასაარჩევნო პერიოდს დაემთხვა ,,სავარაუდოდ სუსიდან გამოჟონილი ფაილების” გასაჯაროება 13 სექტემბერს, რომელიც დღის მთავარი თემა გახდა. მაშნ როდესაც კრიტიკული მედია ხელისუფლების პასუხისმგებლობას აყენებდა მთავარ საკითხად, „კურიერის“ გამხსნელი სიუჟეტი „რუსთავი 2“-ზე არა ,,სუსის ფაილების” საქმე, არამედ კრიმინალური ამბავი იყო. სუსის ფაილების სკანდალი „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო გამოშვებაში მეოთხე სიუჟეტად გაშუქდა. ასევე ზედაპირულად გააშუქა სუსის ფაილების სკანდალი „მოამბემ“. მაუწყებელმა ამ დღის საინფორმაციო გამოშვებაში მესამე თემად (მეგის ქარდავას საქართველოში ექსტრადირებისა და მიხეილ სააკაშვილის მიმართვის შესახებ მომზადებული სიუჟეტების შემდეგ) შესთავაზა მაყურებელს. სიუჟეტში არ იყო ხაზგასმული გამოჟონილი ფაილების მოცულობა, პასუხისმგებელი პირები და მათ არ უცდიათ ისეთი ფაქტების გადამოწმება, რომლებიც სხვა მედიებმა დაადასტურეს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ კრიტიკული იყო „ახალ კვირაში“ ამ თემაზე მომზადებული მასალა. რაც შეეხება „იმედს“, 13 სექტემბრის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში მხოლოდ „ქართული ოცნების“ ოფისში გამართული ბრიფინგს დაეთმო ეთერი. მომდევნო დღეებში კი „ფაილების საქმეზე“ მომზადებულ სიუჟეტებში ძირითადად საუბარი იყო მხოლოდ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და გიორგი გახარიას შესაძლო კავშირზე ამ საქმესთან.

რაც შეეხება რეგიონულ არხებს, მეტწილად გაუარესებულია წინა წლებთან შედარებით რეგიონული ტელევიზიების საინფორმაციო გამოშვებების ხარისხი, როგორც ტექნიკური ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით;

რეგიონული ტელევიზიების ნაწილი ვერ ახერხებდა ყოველდღიურად მაუწყებლობას. ზოგიერთ არხზე გამოშვებები დაუდგენელი გრაფიკით გადიოდა, იყო რამდენიმედღიანი, მათ შორის ერთთვიანი წყვეტებიც; მონიტორინგის დაწყებისას ორკვირიანი ტექნიკური პრობლემის გამო მე-9 არხი ვერ მაუწყებლობდა, ხოლო რაც შეეხება ტელეკომპანია „გურჯაანს“, აგვისტოში საინფორმაციო გამოშვება ეთერში არ გასულა. ასევე, სერიოზული პრობლემები გამოიკვეთა ტელეკომპანია „ოდიშზე“ დაკვირვებისას. რედაქცია ვერ ახერხებდა რეგულარულად საკუთარი კონტენტის შექმნას და უმეტესად, ეთერს „ამერიკის ხმის“ გადაცემით ავსებდა.

წელს კვლავ პრობლემად რჩება რეგიონულ მაუწყებლებში გასული სიუჟეტების ზედაპი-რულობა და სიღრმისეული მასალების არარსებობა,

რეგიონული მაუწყებლების მთავარი საინფორმაციო გამოშვების დიდი ნაწილი ადგილობრივ ახალ ამბებს ეთმობა, თუმცა ტვ 25-სა და ტელეკომპანია „გურჯაანის“ ეთერში მნიშვნელოვანი პოლიტიკური სიახლეებიც შუქდება.

ტვ 25 კრიტიკულად აშუქებს ხელისუფლების აქტივობებს.

აღსანიშნავია, რომ მაყურებელს შესაძლებლობა ქონდა, მიეღო ინფორმაცია რეგიონში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ; არხის მთავარი პრობლემა სიღრმისეული მასალების ნაკლებობა და მომზადებულ მასალებში არსებული პრობლემების დასაბუთებაა; მსგავსი, ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკა აქვს მე-9 არხს და ტელეკომპანია „გურიას“. მათი მთავარი პრობლემა�ა სიღრმისეული მასალების ნაკლებობა.

ხელისუფლებისა და მმართველი პარტიისადმი დადებითი განწყობა გამოიკვეთა ტელეკომპანია „თრიალეთზე“, TV 4-სა და ტელეკომპანია „რიონზე“ დაკვირვების შედეგად. ამასთან, „თრიალეთი“ და „რიონი“ ზოგჯერ იყენებენ სამთავრობო უწყებების პრეს-სამსახურების მომზადებულ მასალებს, მკაფიო მინიშნების გარეშე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რეგიონულ მაუწყებელთა უმეტესობის მაყურებლები ამომწურავ ინფორმაციას ვერ იღებდნენ არათუ საარჩევნო პროცესების, არამედ ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შესახებ.

დანართი: დიაგრამები

დიაგრამებში წარმოდგენილია თითოეული სატელევიზიო არხის მიერ ყველაზე ხშირად გაშუქებული სუბიექტების რაოდენობრივი მონაცემები.






სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
პირველი არხი
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
ქართული ოცნება 08:30:20
11
67
22
მთავრობა 07:19:26
27
62
11
ნაციონალური მოძრაობა 03:26:36
64
30
ლელო 01:52:12
83
საქართველოსთვის 01:26:02
73
გირჩი 01:10:04
99
მოქალაქეები 00:56:30
94


სუბიექტების გაშუქება (%)
პირველი არხი
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
26%
22%
11%
6%
4%
4%
3%
24%
ქართული ოცნება
მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
ლელო
საქართველოსთვის
გირჩი
მოქალაქეები
სხვა


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
მთავარი არხი
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
ქართული ოცნება 09:13:12
2
30
68
მთავრობა 07:01:40
30
69
ნაციონალური მოძრაობა 05:53:53
11
85
ადგილობრივი მთავრობა 01:10:32
29
70
ევროპული საქართველო 01:09:21
97
ლელო 01:08:29
99
ბიძინა ივანიშვილი 01:00:19
86


სუბიექტების გაშუქება (%)
მთავარი არხი
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
30%
22%
19%
4%
4%
4%
3%
14%
ქართული ოცნება
მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
ადგილობრივი მთავრობა
ევროპული საქართველო
ლელო
ბიძინა ივანიშვილი
სხვა


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
რუსთავი 2
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
ქართული ოცნება 09:36:03
18
73
9
მთავრობა 07:23:11
28
68
4
ნაციონალური მოძრაობა 02:46:22
63
33
საქართველოსთვის 00:57:24
58
41
ლელო 00:49:15
88
ადგილობრივი მთავრობა 00:48:10
53
40
მესამე ძალა 00:33:08
89


სუბიექტების გაშუქება (%)
რუსთავი 2
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
37%
28%
11%
4%
3%
3%
2%
12%
ქართული ოცნება
მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოსთვის
ლელო
ადგილობრივი მთავრობა
მესამე ძალა
სხვა


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
იმედი
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
ქართული ოცნება 18:28:58
37
60
3
მთავრობა 08:41:41
31
67
2
ნაციონალური მოძრაობა 04:23:34
35
64
აჭარის მთავრობა 02:24:13
97
მიხეილ სააკაშვილი 01:36:08
15
80
საქართველოსთვის 01:29:04
30
70
პრეზიდენტი 01:27:18
99


სუბიექტების გაშუქება (%)
იმედი
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
43%
20%
10%
6%
4%
3%
3%
11%
ქართული ოცნება
მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
აჭარის მთავრობა
მიხეილ სააკაშვილი
საქართველოსთვის
პრეზიდენტი
სხვა


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
ტვ პირველი
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 07:52:07
29
70
ქართული ოცნება 07:40:44
39
60
ნაციონალური მოძრაობა 02:05:36
89
საქართველოსთვის 01:42:47
90
ადგილობრივი მთავრობა 01:12:20
49
49
ლელო 00:54:34
97
ბიძინა ივანიშვილი 00:44:33
54
44


სუბიექტების გაშუქება (%)
ტვ პირველი
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
30%
29%
8%
7%
5%
3%
3%
15%
მთავრობა
ქართული ოცნება
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოსთვის
ადგილობრივი მთავრობა
ლელო
ბიძინა ივანიშვილი
სხვა


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
TV 25
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 02:03:35
8
50
42
ქართული ოცნება 01:59:29
4
47
49
ნაციონალური მოძრაობა 01:17:32
94
აჭარის მთავრობა 01:13:43
15
57
28
ადგილობრივი მთავრობა 01:11:06
12
53
35
საქართველოსთვის 00:24:33
80
ლელო 00:23:09
95


სუბიექტების გაშუქება (%)
TV 25
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
22%
21%
14%
13%
12%
4%
4%
10%
მთავრობა
ქართული ოცნება
ნაციონალური მოძრაობა
აჭარის მთავრობა
ადგილობრივი მთავრობა
საქართველოსთვის
ლელო
სხვა


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
რიონი
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 02:29:13
19
69
12
ქართული ოცნება 01:08:39
31
57
12
ადგილობრივი მთავრობა 00:46:02
18
63
19
საქართველოსთვის 00:25:13
20
76
ნაციონალური მოძრაობა 00:19:15
87
ლეიბორისტული პარტია 00:18:18
87
ევროპული საქართველო 00:10:08
95


სუბიექტების გაშუქება (%)
რიონი
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
40%
19%
12%
7%
5%
5%
3%
9%
მთავრობა
ქართული ოცნება
ადგილობრივი მთავრობა
საქართველოსთვის
ნაციონალური მოძრაობა
ლეიბორისტული პარტია
ევროპული საქართველო
სხვა

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
თრიალეთი
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021



სუბიექტების გაშუქება (%)
თრიალეთი
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021




სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
გურია
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
ქართული ოცნება 00:44:55
22
52
26
ნაციონალური მოძრაობა 00:26:43
94
მთავრობა 00:25:25
5
81
14
ადგილობრივი მთავრობა 00:19:38
8
83
9
ლელო 00:13:00
98
ლეიბორისტული პარტია 00:11:05
98
გირჩი 00:10:33
28
72


სუბიექტების გაშუქება (%)
გურია
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
23%
14%
13%
10%
7%
6%
5%
22%
ქართული ოცნება
ნაციონალური მოძრაობა
მთავრობა
ადგილობრივი მთავრობა
ლელო
ლეიბორისტული პარტია
გირჩი - მეტი თავისუფლება
სხვა


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
ოდიში
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
ქართული ოცნება 00:13:13
68
29
ნაციონალური მოძრაობა 00:11:26
5
92
ლელო 00:03:52
100
მთავრობა 00:03:14
45
51
საქართველოსთვის 00:02:40
100
პატრიოტთა ალიანსი 00:02:02
100
ადგილობრივი მთავრობა 00:01:35
83


სუბიექტების გაშუქება (%)
ოდიში
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
34%
30%
10%
8%
7%
5%
4%
2%
ქართული ოცნება
ნაციონალური მოძრაობა
ლელო
მთავრობა
საქართველოსთვის
პატრიოტთა ალიანსი
ადგილობრივი მთავრობა
სხვა


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
გურჯაანი
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 1:55:54
36
63
ქართული ოცნება 01:03:17
15
84
ნაციონალური მოძრაობა 00:37:57
84
ადგილობრივი მთავრობა 00:25:30
61
35
საქართველოსთვის 00:07:20
78
გირჩი 00:03:06
100
ევროპული საქართველო 00:02:16
63


სუბიექტების გაშუქება (%)
გურჯაანი
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
44%
24%
14%
10%
3%
1%
1%
3%
მთავრობა
ქართული ოცნება
ნაციონალური მოძრაობა
ადგილობრივი მთავრობა
საქართველოსთვის
გირჩი
ევროპული საქართველო
სხვა


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
მეცხრე არხი
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
ადგილობრივი მთავრობა 00:19:43
10
62
28
ქართული ოცნება 00:18:51
71
26
მთავრობა 00:13:41
7
58
35
ნაციონალური მოძრაობა 00:10:26
8
90
საქართველოსთვის 00:10:02
94
ევროპული საქართველო 00:07:35
100
ლელო 00:05:06
90


სუბიექტების გაშუქება (%)
მეცხრე არხი
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
22%
21%
15%
12%
11%
9%
6%
4%
ადგილობრივი მთავრობა
ქართული ოცნება
მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოსთვის
ევროპული საქართველო
ლელო
სხვა


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
TV 4
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 01:18:26
37
59
4
ქართული ოცნება 00:55:20
21
71
8
ადგილობრივი მთავრობა 00:43:01
35
55
10
ნაციონალური მოძრაობა 00:29:21
22
70
8
საქართველოსთვის 00:10:53
92
სახალხო პარტია 00:08:40
53
45
ევროპელი დემოკრატები 00:06:39
42
58


სუბიექტების გაშუქება (%)
TV 4
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
30%
21%
17%
11%
4%
3%
3%
11%
მთავრობა
ქართული ოცნება
ადგილობრივი მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოსთვის
სახალხო პარტია
ევროპელი დემოკრატები
სხვა